

რონალდუ

კრიშტიანუ რონალდუ ყველაზე ნიჭიერი იყო იმ ფეხბურთელებს შორის, ვინც კი ოდესმე გამიწვრთვინია. მას „იუნაიტედის“ ყველა ნიჭიერი ფეხბურთელის წინ დავაყენებდი. გამორჩეული ტალანტის ბიჭები კი გუნდში ძალიან ბევრი იყვნენ, მათ შორის ისეთები, რომლებიც ჩვენს აკადემიაში გაიზარდნენ. მაგალითად, რაიან გიგზი და პოლ სკოულზი. ისინი „მანჩესტერ იუნაიტედს“ ორი ათწლეულის განმავლობაში ერთგულად ემსახურნენ. აღნიშნული დრო, მათი ერთგულება და ქცევა მართლაც რომ გამორჩეული იყო.

ბოლოს ჯადოქარი რონალდუ მადრიდის „რეალს“ დავუთმეთ, თუმცა მის მიერ ჩვენს გუნდში გატარებულ წლებს დიდი სიამაყითა და მადლიერებით ვიხსენებ. მან „იუნაიტედში“ ექვსი სეზონი გაატარა 2003 წლიდან – 2009 წლამდე. ამ პერიოდში 292 მატჩი ჩაატარა და მეტოქის კარი 118-ჯერ დალაშქრა. მოიგო ჩემპიონთა ლიგა, სამჯერ ინგლისის პრემიერლიგა, ერთხელ ასოციაციის თასი და ორჯერ ლიგის თასი. მან 2008 წელს მოსკოვში ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ჩელსის“ გაუტანა. ჩვენი მაისურით ბოლო თამაში კი ამ მატჩიდან ზუსტად თორმეტი თვის თავზე „ბარსელონასთან“ რომში გამართულ ფინალში ჩაატარა.

ამ ექვსწლიან პერიოდში ჩვენ გამორჩეული ტალანტის მქონე ფეხბურთელს ვუყურებდით, რომლის ნიჭიც ქარინგტონის სავარჯიშო მოედნებზე და ჩვენი გუნდის სასტარტო თერთმეტეულში ნელ-ნელა ვითარდებოდა. მან ოცდამეერთე საუკუნის პირველ

ათწლეულს თავისი კვალი დაამჩნია. ჩვენ რონალდუს დიდ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დავეხმარეთ, მან კი ხელი შეგვიწყო „მანჩესტერ იუნაიტედს“ ძველი დიდება დაებრუნებინა.

მადრიდელებმა მასში 80 მილიონი ფუნტი გადაიხადეს და იცით, რატომ? მათი პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის მხრიდან ეს მსოფლიოსთვის გაგზავნილი სიგნალი იყო – „ჩვენ მადრიდის „რეალი“ ვართ. ჩვენ ყველაზე დიდი ვართ დიდ კლუბებს შორის“. მათი მხრიდან ეს იყო ჭკვიანური ნაბიჯი და იმის გაცხადება, რომ პლანეტის საუკეთესო ტალანტი უცილობლად მათ ხელში უნდა ყოფილიყო.

პერესის წინამორბედმა რაიმონ კალდერონმა ტრანსფერამდე ერთი წლით ადრე დაიქაღნა, რომ კრიშტიანუს მადრიდის „რეალის“ ფორმას ჩააცმევდა. ზუსტად ვიცოდი, თუ ისინი 80 მილიონ ფუნტს შემოგვთავაზებდნენ, რონალდუ უნდა დაგვეთმო. ჩვენ ვერაფრით შევენინალმდეგებოდით ფეხბურთელის ურყევებას იბერიის ნახევარკუნძულზე დაბრუნებულიყო და ის ცნობილი თეთრი მაისური ჩაეცვა, რომელსაც მანამდე დი სტეფანო და ზიდანი ატარებდნენ. რონალდუს, ისევე როგორც მისნაირი ტალანტების განვრთნას, ერთი საკითხი მუდამ თან ახლავს – მწვრთნელს შეუძლია ისინი ადვილად აკონტროლოს მანამ, სანამ მსოფლოში მრავალი ადამიანის კერპები არ გახდებიან. მაშინ კი, როდესაც ისინი მეგავარსკვლავებად იქცევიან, მწვრთნელი ყოველთვის საკუთარ თავს ეკითხება, როდემდე შეძლებს მის გუნდში შენარჩუნებას. ასე იყო რონალდუს შემთხვევაში. მე და კარლუშ კეირუში ერთმანეთს მუდამ ერთსა და იმავეს ვეკითხებოდით:

– რამდენი ხანი მოვახერხებთ რონალდუს შენარჩუნებას?

კარლუში ძალიან სწორად მეტყოდა ხოლმე:

– ალექს, თუ ის ჩვენთან ხუთი წელი დარჩება, ეს მიღწევა იქნება. პორტუგალიურ ფეხბურთში არ ყოფილა პრეცედენტი, ამ ქვეყნის ფეხბურთელი 17 წლის ასაკში სხვაგან წასულიყო და იქ ხუთი წელი გაეტარებინა.

რონალდუ ჩვენთან ექვსი წელი დარჩა და ეს მართლაც რეკორდი იყო. იმ პერიოდში მისი დახმარებით სამჯერ ინგლისის პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგის თასი მოვიგეთ. მე ამას მართლაც დიდ შედეგად მივიჩნევ.

როდესაც გუნდიდან მისი წასვლის დრო მოვიდა, ჩვენ ჯენტლმენური შეთანხმება დავდეთ. პორტუგალიაში კარლუშის სახლში ჩავედი, რონალდუ დავიბარე და ვუთხარი:

– წელს მადრიდის „რეალში“ ვერ გადახვალ, რადგან კალდერონი შენი ტრანსფერის საკითხს არასწორად უდგება. ვიცი, რომ მადრიდში გადასვლა გულით გინდა, თუმცა იცოდე, უწინამც მოგკლავ, ვიდრე ახლა იქ გაგიშვებ. თუ თამაშს ისევე მაღალ დონეზე გააგრძელებ, არ აურევ და მადრიდიდანაც სარეკორდო თანხას გადაიხდიან, – მხოლოდ ამ შემთხვევაში გაგიშვებ.

მსგავსი რამ რონალდუს აგენტს ჟორჟ მენდემსაც ვუთხარი.

მე რონალდუს დამშვიდება შევძელი. ვუთხარი, რომ სწორედ კალდერონი იყო მიზეზი, რის გამოც ამ ეტაპზე მისი „რეალში“ გაშვებისაგან თავს ვიკავებდი:

– შენ რომ ახლა გაგიშვა, მთელ ჩემს ღირსებას ხაზს გადავუსვამ. აბსოლუტურად ყველაფერს დავკარგავ და ნამდვილად არ მანაღვლებს, თუ საჭიროების შემთხვევაში ეს ერთი წელი ჩვენთან სათადარიგოთა სკამზე იჯდები. თუმცა ვიცი, რომ ეს არ მოხდება, მაგრამ მინდა იცოდე, რომ წელს „რეალში“ არ გადახვალ.

ამ დიალოგის შინაარსი დევიდ გილს გავაცანი და მან, თავის მხრივ, ინფორმაცია გლეიზერებს მიაწოდა. დარწმუნებული ვარ, ჩემი და რონალდუს ამ საუბრის შინაარსი მადრიდის „რეალშიც“ შეიტყვეს. მეშინოდა, რომ ჩვენი გარიგების დეტალები პრესაში არ მოხვედრილიყო. რონალდუ ამის შესახებ წინასწარ გავაფრთხილეთ. დარწმუნებული ვარ, მას ამის შესახებ მადრიდის „რეალის“ წარმომადგენლებისთვისაც არაფერი უთქვამს. მინდა ვთქვა, რომ მისი აგენტი ჟორჟ მენდეში საუკეთესოა საფეხბურთო სამყაროში. ის პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე იყო, თავის კლიენტებს დიდ ყურადღებას აქცევდა და კლუბების მიმართაც

პატიოსნებით გამოირჩეოდა. ვგრძნობდი, რომ ძალიან უნდოდა რონალდუ მადრიდში გადაბარებულიყო. მგონი ემინოდა კიდეც, რომ თუ ეს ტრანსფერი არ შედგებოდა, მას შეიძლება რონალდუ, როგორც კლიენტი, დაეკარგა.

რონალდუზე ფიქრისას გონებაში მუდამ ერთი რამ ამომიტივტივდება ხოლმე – მაშინაც კი, როცა მას თამაში არ მისდიოდა, მინიმუმ სამ საგოლე მომენტს მაინც ქმნიდა. თითოეულ თამაშში მინიმუმ სამ საგოლე მომენტს! გადახედეთ მის მიერ ჩატარებულ თამაშებს და ვერ აღმოაჩენთ მატჩს, სადაც მან მინიმუმ სამი საგოლე მომენტი არ შექმნა. მას დაუჯერებელი ტალანტი ჰქონდა, რაც ბევრი დეტალისგან შედგებოდა: ვარჯიშის მიმართ დამოკიდებულება, ძალა, სიმტკიცე, ორივე ფეხით თანაბრად ასპარეზობა, თავით თამაში.

მანჩესტერში ჩამოსვლის პირველ დღეებში ხშირად ინდივიდუალიზმით ერთობოდა. ის უფრო პუბლიკაზე თამაშობდა. მისი ნიჭის შეფასებისას ხშირად უსამართლო კრიტიკა ჭარბობდა. თუმცა ის შეიცვალა. ერთ-ერთი ასპექტი, რომელსაც მისი კრიტიკოსები ყოველთვის იგნორირებას უკეთებდნენ, მოძრაობაში მისი სისწრაფეა. ამ სისწრაფეზე, როგორც წესი, ფეხბურთელი წონასწორობას ვერ ინარჩუნებს. ადამიანს არა აქვს უნარი წონასწორობა დაიცვას მაღალ სიჩქარეზე მაშინ, როდესაც მას მუჯლგუნს მიაყოლებენ ან სარმას დაუდებენ. ვფიქრობ, რონალდუს ამ ნიჭის დაუფასებლობა უსამართლობა იყო.

ჩვენთან გადმოსვლიდან პირველ წლებში ის ბურთს დიდხანს ატარებდა და კეირუმმა ბევრი იშრომა, რომ მისი ეს ნაკლი გამოესწორებინა. ის კრიშტიანუს მუდამ უმეორებდა:

– დიდი ფეხბურთელი მაშინ იქნები, როდესაც ამას კლუბის მიღმა სხვებიც აღმოაჩენენ. ამის გარეშე დიდ სიმაღლეებს ვერ მიაღწევ. როდესაც საჭირო დროს პასის მიწოდებას და დიდხანს ჩანოდებას ისწავლი, მოწინააღმდეგეები ველარ შეძლებენ შენი თამაში წინასწარ განჭვრიტონ. აი, სწორედ აქედან იწყება დიდი ფეხბურთისკენ მიმავალი გზა.

მონინაალმდეგეებმა იცოდნენ, რა მოლოდინი შეიძლება ჰქონოდათ რონალდუს შემთხვევაში. იცოდნენ, რომ მას ბურთთან განშორება დიდად არ ხიბლავდა. თუ ნახავთ რონალდუს გოლს, რომელიც მან „არსენალთან“ ნახევარფინალურ მატჩში გაიტანა, აღმოაჩინოთ, თუ როგორ მოხდა მისი, როგორც ფეხბურთელის, გარდასახვა. ის გოლი კონტრშეტევისას გავიტანეთ. რონალდუმ ქუსლით გადაანოდა პასი ჟი-სუნ პარკს და ჩვენგან მონინაალმდეგის საჯარიმო მოედანზე ცხრა ნამში გადავედით. წარმოდგინათ? კონტრშეტევისას გოლი ცხრა ნამში გავიტანეთ!

ეს ერთგვარად ბაქიაოზის მოყვარული ფეხბურთელის გუნდურ მოთამაშედ გადაქცევის ნათელი მაგალითი იყო. ზოგადად ასეა, ნიჭიერი ფეხბურთელები ყოველთვის ცდილობენ პუბლიკაზე თამაშით ყველას დაანახვონ თავიანთი ნიჭი. ამის გამო რონალდუს გუნდიდან გაშვებას კი არავინ აპირებდა. მას ხშირად ფეხებშიც ურტყამდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის თითქოს მონინაალმდეგეებს ეუბნებოდა: „რაც გინდათ ის გააკეთეთ. მე რონალდუ ვარ!“. საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა ყოველთვის გააჩნდა. ვფიქრობ, რონალდუმ ჩვენს გუნდში მიაღწია იმ დონეს, როდესაც თანაგუნდელებმაც კი მის ნიჭს კრძალვით დაუნყეს ყურება.

ვარჯიშზე ის ბიჭებს კარგად უგებდა, ისინიც ძალიან ეხმარებოდნენ. პირველად, როდესაც ქარინგტონში ვარჯიშისას ფეხებში ურტყამდნენ, საშინელ ხმას გამოსცემდა. ბიჭები გაკვირვებულნი უყურებდნენ. ის მალე მიხვდა, რომ ასეთი რამ აღარ უნდა გაეკეთებინა. ალღომ არ უღალატა. მართლაც ნიჭიერი ბიჭი გახლდათ. როგორც კი მიხვდა, რომ ვარჯიშზე მისი ყვირილი არავის აინტერესებდა, იმნუთასვე შეწყვიტა. ბოლო სეზონში რამდენიმე მომენტი უბრალოდ გაითამაშა, რომ მსაჯისთვის ჯარიმა დაეტყუებინა, ამ მხრივ სხვებისგან გამორჩეული არ ყოფილა. 2008 წელს მსაჯმა „ბოლტონთან“ მას პენალტის დარტყმის უფლება მისცა, მაშინ, როდესაც წესების დარღვევა საერთოდ არ ყოფილა. თუმცა ამას მთლიანად მას ვერ დავაბრალებთ. იმ მომენტში მსაჯიც შეცდა. მცველი დასწრებაზე თამაშობდა, რონალდუ კი მას ფეხზე

წამოდო. ეს სამარცხვინო იყო არა რონალდუს, არამედ მატჩის არბიტრის – რობ სტილის მხრიდან.

ახალგაზრდა რონალდუს ხელში ჩაგდებას ყველა ესწრაფვოდა (მადრიდის „რეალი“ და „არსენალი“ ამას ღიად აცხადებდნენ), თუმცა, მათგან განსხვავებით, ჩვენ ლისაბონის „სპორტინგთან“ მჭიდრო ურთიერთობები გვაკავშირებდა. ორ კლუბს შორის ხშირად ხდებოდა მწვრთნელების გაცვლა. 2002 წელს ჩვენ კარლუმ კეირუმი შემოგვიერთდა და მახსოვს, პირველად სწორედ მან მითხრა:

– „სპორტინგში“ ერთი ახალგაზრდა ბიჭია. თვალი არ უნდა მოვაშოროთ.

– რომელს გულისხმობ? – ვკითხე მე, რადგან იმ გუნდში ორი თუ სამი ასეთი ტალანტი მეგულებოდა.

– რონალდუს. – მიპასუხა მან.

ჩვენ მის შესახებ ყველაფერი ზედმინვენით ვიცოდით. იმ პერიოდში კრიშტიანუ ცენტრფორვარდის პოზიციაზე გამოდიოდა. კარლუმმა მითხრა, რომ საჭირო იყო მოქმედებაზე გადავსულიყავით, რადგან ბიჭი მართლაც განსაკუთრებული გახლდათ. სწორედ ამიტომაც ლისაბონის „სპორტინგის“ ვარჯიშებზე რონალდუს დასაკვირვებლად ჯიმ რაიანი მივაგვლინეთ. ჯიმი მალე დაბრუნდა და მითხრა:

– ნამდვილი მოთამაშე ვნახე. ვფიქრობ, ის უფრო ფრთის ფეხბურთელია, თუმცა ახალგაზრდულ გუნდში ცენტრფორვარდად ათამაშებენ. მე თქვენს ადგილას დიდხანს არ მოვიცდიდი. ის ჩვიდმეტი წლისაა და თუ არ ვიმოქმედეთ, შეიძლება ვინმემ ცხვირწინ აგვნაპნოს.

ასე დაიწყო ყველაფერი. ბიჭის შესახებ სიტყვა „სპორტინგის“ წარმომადგენლებთან შეხვედრისას ჩამოვაგდეთ. მათ გვითხრეს, რომ რონალდუს შენარჩუნება კიდევ ორი წელი სურდათ. შევთავაზე, რომ ფეხბურთელს ვიყიდდი, თუმცა ის ორი წელი ისევ ლისაბონში დარჩებოდა. უნდა ვაღიარო, რომ იმ ეტაპზე არც ფეხბურთელთან და არც მის აგენტთან ამ საკითხზე საუბარი არ გვქონია. მოლაპარაკებები მხოლოდ კლუბების დონეზე მიდიოდა.

იმ ზაფხულს კარლუში მადრიდის „რეალის“ მწვრთნელად დაინიშნა, მე კი ჩემს გუნდთან ერთად შეკრებაზე აშშ-ში გავემგზავრე. გუნდი დატოვეს პეტერ კენიონმა და ხუან სებასტიან ვერონმა. დაგვემილი იყო, რომ მოსამზადებელ ეტაპზე ერთ-ერთ თამაშს ლისაბონში „სპორტინგის“ წინააღმდეგ მათ ახლად აშენებულ სტადიონზე ჩავატარებდით, რომელიც 2004 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის საგანგებოდ აიგო.

იმ თამაშში მარჯვენა მცველის პოზიციაზე გარი ნევილის ნაცვლად ჯონ ოში მოქმედებდა. ბურთთან რონალდუს პირველი შეხებისას ფეხზე წამოვარდი და ჯონს დაუყვირე:

– ღვთის გულისათვის, ჯონ, ახლოს ეთამაშე!

ჯონმა მხრები აიჩჩია. სახეზე ტანჯვა და დაბნეულობა ერთდროულად ეტყობოდა. სხვები კი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ:

– ეს ბიჭი მართლა მაგარი ვინმე უნდა იყოს.

– ყველაფერი გასაგებია. – ვთქვი ჩემთვის.

შემდეგ კი ჩვენს ადმინისტრატორს ვუთხარი, კენიონისთვის ეთხოვა, რომ შესვენებისას ტრიბუნებიდან ჩემთან ჩამოსულიყო. პეტერს პირდაპირ განვუცხადე:

– მოედნიდან არ წავალ, სანამ ამ ბიჭს ხელში არ ჩავიგდებთ.

– ნუთუ ის ასე მაგარია? – მკითხა კენიონმა.

– ხომ დაინახე, ჯონ ოშის შაკიკი დამართა. ამ ბიჭს სასწრაფოდ კონტრაქტი უნდა გავუფორმოთ.

კენიონი კლუბის წარმომადგენლებს ესაუბრა და მიიღო ნებართვა, თავად რონალდუს დალაპარაკებოდა. ლისაბონური კლუბის ბოსებმა გაგვაფრთხილეს, რომ მადრიდის „რეალი“ რონალდუში მათ 8 მილიონ ფუნტს სთავაზობდა.

– მაშინ შენ ცხრა მილიონი შესთავაზე. – ვუთხარი პეტერს.

რონალდუ სტადიონის გასასვლელში შეგვხვდა თავის მენეჯერთან ერთად და სწორედ იქ ვუთხარით, თუ როგორ გვენადა ის „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადმოგვეყვანა. უორჟ მენდემის თანდასწრებით ასეთი რამ ვთქვი:

– პირდაპირ გეუბნები, რომ ყოველ ტურში ვერ გათამაშებ, მაგრამ შენ ძირითადი შემადგენლობის ნაწილი იქნები. ამაში

ექვიც არ მეპარება. ჩვიდმეტი წლის ხარ და ამ ყველაფრისთვის დრო დაგჭირდება. ჩვენ კი შენზე ვიზრუნებთ.

მეორე დღეს რონალდუს, მის მენეჯერს – ჟორჟ მენდემს, დედას, მის დას და იურისტს მანჩესტერში ჩამოსასვლელად კერძო თვითმფრინავი გაუფრავნეთ. ამ ტრანსფერის სასწრაფოდ განხორციელება იყო საჭირო. დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. მე თავად ვიყავი სკაუტი გლაზგოში მუშაობისას და ერთსა და იმავეს ვამბობდი:

– დიდებულია, როდესაც ისეთ ვინმეს აღმოაჩენ, ვისაც თავიდანვე ეტყობა, რომ დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

ერთ საღამოს ფილმ „თეთრ ეშვს“ ვუყურებდი, რომელიც ჯეკ ლონდონის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით არის შექმნილი და სადაც კლონდაიკში ოქროს ძიების პროცესია აღწერილი. სკაუტის საქმიანობაც სწორედ ეგაა – ზიხარ შაბათს, თამაშს უყურებ და აღმოაჩენ ჯორჯ ბესტს, რაიან გიგზს და ბობი ჩარლტონს. სწორედ ასეთი რამ ვიგრძენი იმ დღეს ლისაბონში – ნამდვილი აღმოჩენა!

ეს უდიდესი აღფრთოვანების წუთები იყო, რაც კი ოდესმე ფეხბურთში განმიცდია. მსგავსი რამ გახსენდება პოლ გასქოინის შემთხვევაში, თუმცა იქ საქმე სხვაგვარად გახლდათ. „ნიუკასლი“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდა და სწორედ ამ დროს გასქოინის ტრავმა აწუხებდა. აღდგომის მომდევნო ორშაბათი იდგა და ჩვენ თამაშს „სენტ ჯეიმზ პარკზე“ ვმართავდით. ცენტრში ნორმან უაითსაიდი და რემი მოუსი გავამწესე. ვერ ვიტყვი, რომ მოედანზე მათ შორის იდეალური ურთიერთგაგება არსებობდა. ამ დუეტზე სრულად დაყრდნობა არ შეიძლებოდა. სწორედ სათადარიგოთა სკამთან ახლოს გასქოინმა მოუსი ბავშვივით გააცურა და ბურთი წინ გაიგდო.

– შეაჩერეთ, მე ამის ასე და ისე... – ფეხზე წამოვვარდი და ყვირილი დავიწყე.

უაითსაიდი და მოუსი შეეცადნენ შეცდომა გამოეწორებინათ და ეს ისე აღქმულიყო, თითქოს პოლმა იმ მომენტში გაიმარჯვა,

თუმცა არაფერი გამოსდიოდათ. გასქოინი მათ ყოველ მომენტში ატყუებდა.

იმ ზაფხულს მის გადმოსაბირებლად ყველაფერი ვიღონეთ. თუმცა „ნიუკასლმა“ ის „ტოტენჰემს“ მიჰყიდა. როდესაც ასეთ ტალანტს მოედანზე ხედავ, ხვდები, რომ ეს ის წუთებია, რისკენაც მთელი სამწვრთნელო კარიერის მანძილზე მიიღტვოდი. სწორედ აღმოჩენის განცდა იყო, რაც იმ თამაშის შემდეგ მოსვენებას არ მაძლევდა და გასქოინის გადმობირებას მაიძულებდა.

რონალდუს შემთხვევაში საქმე განსხვავებულად იყო. კენიონმა შეძლო და მისი „იუნაიტედში“ ტრანსფერი გაჩარხა. ვგრძნობდი, რომ „სპორტინგს“ დიდად არ უნდოდა ეს ბიჭი ესპანელებისთვის დაეთმო. გარიგება საკმაოდ სწრაფად შედგა და საერთო ჯამში 12 მილიონი ფუნტი დაჯდა. კონტრაქტში ჩაინერა, რომ თუ ჩვენ მას გაყვიდდით, „სპორტინგს“ უპირველესი არჩევანის უფლება ექნებოდა და შეეძლო ის უკან დაებრუნებინა. სანამ რონალდუს „რეალში“ გავუშვებდით, შეთანხმებისამებრ, ჩვენ ის „სპორტინგს“ შევთავაზეთ, თუმცა მათ 80 მილიონი ფუნტის გადახდა არ შეეძლოთ.

როდესაც რონალდუმ ჩემშირში ახალი ცხოვრება დაიწყო, დედა და დაც მასთან ერთად გადმოვიდნენ. ეს მშვენიერი იყო. დედამისი პირდაპირი ქალბატონი გახლდათ და დედობრივი გრძნობით აღსავსე. რონალდუს ავუხსენი, რომ სახლთან და ბანკთან დაკავშირებულ საკითხებში მას ლინი და ბარი მურჰაუსები დაეხმარებოდნენ. მათ სახლი სწრაფად შეარჩიეს და მალევე დაფუძნდნენ.

ლისაბონში გამართული თამაშის შემდეგ აშშ-დან „დალას ქოუბოუს“ კუთვნილი თვითმფრინავით დავბრუნდით, რომელიც მათ იმ ზაფხულს მოგვაქირავეს. ფერდინანდი, გიგზი, სქოულზი და ნევილი რონალდუს გამო მთელი გზა აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. „სასწრაფოდ გადმოვიყვანოთ, სასწრაფოდ კონტრაქტი გავუფორმოთ“. – მეუბნებოდნენ ისინი.

რონალდუ რომ შემოგვიერთდა, გუნდში ბიჭებმა მის შესახებ ყველაფერი იცოდნენ, მის ნიჭს ძალიან აფასებდნენ და ვფიქრობ, ამან დადებითად იმოქმედა.

„იუნაიტედის“ მაისურით მან პირველი თამაში 2003 წლის 16 აგვისტოს „ბოლტონის“ წინააღმდეგ ჩაატარა, როდესაც ის თამაშში სათადარიგო სკამიდან ჩაერთო. „ბოლტონის“ მცველებს დიდი ჯაფა დაადგათ. მათმა მარჯვენა მცველმა რონალდუს ბურთი აართვა და კრიშტიანუც ძირს დაეცა, თუმცა სწრაფადვე წამოდგა და ისევ პასს ითხოვდა. „პასს აუცილებლად მისცემენ“, – გავიფიქრე ჩემთვის.

ერთი წუთიც არ იყო გასული, როდესაც ის მეტოქის საჯარიმოში ნაქციეს და მსაჯმა პენალტი დანიშნა. შემდეგ საკუთარი გადანყვეტილებით რონალდუმ მარჯვენა ფლანგზე გადმოინაცვლა და ორი ბრწყინვალე გადაცემა გააკეთა. პირველი გადაცემა სქოულზმა მიიღო და მან თავის მხრივ ნისტელროის გადააწოდა. მისი დარტყმული მეკარემ მოიგერია, თუმცა გიგზმა დამატებაზე ყველას დაასწრო და მეორე გოლი გაიტანა. მარჯვენა ფლანგზე მსხდომი მაყურებელი ამ ყველაფერს ისე უყურებდა, თითქოს ისინი გმირის დაბადების თვითმხილველნი ყოფილიყვნენ. „ოლდ ტრაფორდის“ პუბლიკას შეუძლია ფეხბურთელი სწრაფად აქციოს გმირად. ერიკ კანტონას შემდეგ რონალდუმ „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივარზე უდიდესი ზემოქმედება მოახდინა. ის გულშემატკივრისთვის ვერასოდეს გახდებოდა ისეთი კერპი, როგორც კანტონა იყო, რადგან ერიკს განსაკუთრებული ქარიზმა ჰქონდა, თუმცა რონალდუს ტალანტი შეუმჩნეველი არავის დარჩენია.

2009 წელს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „არსენალის“ კარში რონალდუს მიერ გატანილმა გოლმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რა ძლიერი იყო ის კონტრშეტევისას. ბურთი უსწრაფესად მივიდა პარკიდან რუნის გავლით რონალდუმდე. მე მას ყოველთვის ვეუბნებოდი:

– მოწინააღმდეგის კარისკენ როდესაც ნახვალ, შეეცადე დიდი ნაბიჯები გადადგა-მეთქი.

როდესაც დიდ ნაბიჯს დგამ, შენ მოძრაობას ანელებ და დრო მეტი გაქვს. როდესაც სწრაფად გარბიხარ, სხეულის კოორდინირება ჭირს, მაგრამ თუ ცოტას ანელებ, გონებას უფრო მეტი დრო აქვს გადანყვეტილების მისაღებად. მან დამიჯერა. თქვენ შეგიძლიათ ის მომენტი თავად ნახოთ.

2004 წლის გაზაფხულზე კარდიფში ასოციაციის თასის ფინალის წინ, რომელშიც ჩვენ „მილუოლი“ 3:0 დავამარცხეთ, უოლტერ სმიტმა, რომელიც დამხმარე მწვრთნელის რანგში შემოგვიერთდა, სხვადასხვა ფეხბურთელის ნიჭის შესახებ მკითხა:

– რონალდუზე რას იტყვი? ნუთუ ის მართლა ასე მაგარია?

– დიახ. თუნდაც მეორე სართულზე. ის თავითაც ბრწყინვალედ თამაშობს.

მოგვიანებით უოლტერი ისევ შეეხო ამ საკითხს:

– თქვენ ამბობთ, რომ ის თავით მშვენივრად თამაშობს. ვარჯიშებზე ნამდვილად ასეა და ამას მეც ვხედავ, თუმცა თამაშის დროს საქმე სხვაგვარადაა.

მომდევნო შაბათს რონალდუმ „ბირმინგემს“ თავით ბრწყინვალე გოლი გაუტანა და მე უოლტერს მივუბრუნდი.

– ახლა ყველაფერი გასაგებია. – მითხრა მან.

ასოციაციის თასის ნახევარფინალურ დაპირისპირებას ვუყურე, სადაც „მილუოლმა“ „სანდერლენდი“ დაამარცხა და ჩემს სამწვრთნელო შტაბს ვუთხარი:

– ის ბიჭი, ტიმ კეჰილი ცუდი ფეხბურთელი არ ჩანს.

პატარა ბიჭის კვალობაზე მისი მხრიდან დიდი პროგრესი იყო. მართალია, ბურთთან იდეალურად ვერ იყო, მაგრამ საერთო ანსამბლში ეწერებოდა. მისი შექენა ძალიან იაფად შეიძლებოდა, კარგ გუნდში კი მას ნამდვილად შეეძლო ბევრი გოლი გაეტანა. იმ თამაშში დენის უაიზი ბევრს იბრძოდა. მაშინ ბევრი მისნაირი საძაგელი მოთამაშე იყო, რომლებზე ფიქრის დროსაც უნებურად ინატრებდი, რომ თამაში შენც შეგძლებოდა. ალბათ დენის უაიზის თამაშის დანახვისას ბევრი ფიქრობდა ასე. დიდი ალბათობით ძველ წლებში ის ფეხბურთს ვერასოდეს ითამაშებდა, ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ.

თუ თანამედროვე ფეხბურთის გაგეგება, შეიძლება ფიზიკურობით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ ფეხბურთი მაინც ითამაშო. უაიზის ბინძური თამაში შეეძლო. ის ახერხებდა ფეხი ისე ჩაერთვას მოწინააღმდეგისათვის, რომ კიდური მოეტეხა. თანამედროვე ფეხბურთში მსგავსი ფეხბურთელების ხილვა დიდი იშვიათობაა: ისეთების, რომლებიც მზად არიან, მოწინააღმდეგეს ტრავმა ნე-ბისმიერ ფასად მიაყენონ. უაიზის თავნებობა კი იმ დღეს ვერაფერს დაგვაკლებდა, რადგან რონალდუმ „მილუოლი“ უბრალოდ დაშალა.

ერთი დიდი პოლიტიკური ტრაგედია მაშინ მოხდა, როდესაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას უეინ რუნი რიკარდო კარვალიუს ეუხეშა. სწორედ მაშინ იყო, როცა რონალდუ და რუნი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამან ეჭვი გააჩინა, საქმე შეიძლებოდა იქამდეც კი მისულიყო, რომ ამ ორ ფეხბურთელს ერთ გუნდში ვეღარ ეთამაშა. საზაფხულო არდადეგებისას რუნის მოკლე ტექსტური შეტყობინება გავუგზავნე და ვთხოვე, რომ მას და რონალდუს მასმედიის წარმომადგენლებისთვის ერთად მიეცათ ინტერვიუ, რათა ყველას დაენახა, რომ საქმე არც ისე ცუდად იყო.

მეორე დღეს ამ იდეის შესახებ მიკ ფელანსაც ვუთხარი, მაგრამ მან ეს ხელოვნურად მიიჩნია. მივხვდი, რომ ის მართალი იყო. თუმცა რუნის სულგრძელობამ რონალდუზე ძალიან იმოქმედა. ეს უკანასკნელი ფიქრობდა, რომ რუნისთან იმ დაპირისპირების შემდეგ მანჩესტერში უბრალოდ ვეღარ ჩამოვიდოდა და პრესის წარმომადგენლები მოსვენებას არ მისცემდნენ. რუნიმ მას რამდენჯერმე დაურეკა. უნდა ითქვას, რომ ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა, როდესაც „იუნაიტედის“ მოთამაშეები საერთაშორისო დონეზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მე შემიძლია 1965 წლის შოტლანდია-ინგლისის დაპირისპირება გაგახსენოთ, რომელშიც ნობი სტაილსმა პირველად მოირგო თავისი ქვეყნის ნაკრების მათხური. იმ მომენტში დენის ლოუ შოტლანდიის ნაკრების შემადგენლობასთან ერთად იდგა, ნობი მასთან მივიდა

და უთხრა: – წარმატებებს გისურვებ, დენის. ნობი დენის აღმერთებდა, ის კი მიუბრუნდა და უთხრა:

– შე ინგლისელო ასეთო და ისეთო... – ნობი გაშტერებული უყურებდა დენისს.

მართალია, რონალდუ მსაჯს მივარდა და რუნის გაძევება მოითხოვა, რაც თანამედროვე ფეხბურთში არცთუ იშვიათად გვხვდება, თუმცა რონალდუ იმ მომენტში მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა – თავისი ქვეყნის ნაკრების მაისურით ის თამაში მოეგო. იმ წუთას ნამდვილად არ ფიქრობდა „მანჩესტერ იუნაიტედში“ ჩასატარებელ მომდევნო სეზონზე. ეს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი იყო. თუმცა, ცხადია, მან ინანა თავის საქციელი. როდესაც ჩვენ მის სანახავად მივედით, ბუნებრივია, კარგად აცნობიერებდა იმ სირთულეებს, რაც მის საქციელს მოჰყვა. მისი ეს შესტი არასწორად იქნა აღქმული. მწვრთნელმა სთხოვა, არეულობაში არ ჩარეულიყო, თუმცა ბევრმა მიიჩნია, რომ მისმა ამ საქციელმა რუნის მოედნიდან გაძევებაში თავისი წვლილი შეიტანა. მე მისი მჯეროდა, როდესაც მიხსნიდა, რომ ამ შესტიკულაციით სულაც არ ცდილობდა, მსაჯს რუნი მოედნიდან გაეძევებინა.

ჩვენ პორტუგალიაში რონალდუს ვილაში შევხვდით და ვისაძილეთ. იმ შეხვედრას ჟორჟ მენდეშიც ესწრებოდა. რუნის ზარებმა რონალდუს უხერხულობის მომენტი მოუხსნა და აზრი ნაწილობრივ შეაცვლევინა. მე კი კრიშტიანუს ვუთხარი:

– შენ შენი სიმამაცე ყველას უნდა უჩვენო და „მანჩესტერ იუნაიტედში“ ჩამოხვიდე, რადგან გაქცევა სიმამაცეზე არ მიუთითებს.

შემდეგ ბექჰემის 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მომხდარ შემთხვევასთან გავავლე პარალელი და განვავარძე:

– მისი შემთხვევაც ამას ჰგავდა. პაბებში ბექჰემის კარიკატურები ეკიდა. ის ეშმაკად აქციეს, თუმცა დევიდს ეყო სიმტკიცე, ამ ყველაფერს წინ აღდგომოდა.

იმ ინციდენტიდან პირველი თამაში ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ბექჰემმა სტუმრად „ვესტ ჰემის“ წინააღმდეგ ჩაატარა.

იქაური სტადიონი ნამდვილად არ იყო საუკეთესო ადგილი იმ ამბის შემდეგ პირველი თამაშის გასამართად.

– ამას სიტყვებით ვერ გადმოვცემ. ეს უნდა გამოსცადო. – ვუთხარი რონალდუს.

რონალდუს პირველი თამაში ლონდონში ოთხშაბათ საღამოს „ჩარლტონის“ წინააღმდეგ შედგა. თამაშს VIP ლოჯიდან ვუცქირე და მახსოვს, როგორ შეურაცხყოფას აყენებდნენ კრიშტიანუს.

– ჰეი შენ, პორტუგალიელი ნაბიჭვარო! – ყვიროდა ერთი ბიჭი, რაც სხვებთან შედარებით გაცილებით უფრო ზრდილობიანად ჟღერდა.

პირველი ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე რონალდუმ ბურთი მიიღო, ოთხ მცველს ცეკვა-ცეკვით ჩაუარა, ძელს ქვემოთ დაარტყა და ბრწყინვალე გოლი გაიტანა. ის ბიჭი დარჩენილი თამაშის განმავლობაში სკამიდან აღარ წამომდგარა. შესაძლოა იფიქრა, რომ ეს საზიზღარი შეძახილები რონალდუს მოტივაციას მატებდა.

რონალდუმ სეზონი კარგად დაიწყო და რუნისთან კონფლიქტიც უკან დარჩა. ცხადია, იმ მომენტში რუნის ყველა ვარიანტში გააძევებდნენ, თუმცა რონალდუს ჩარევა ამ საქმეში მაინც არასასურველი იყო. ძალიან გამიხარდა, რომ ინციდენტი ამოიწურა და ჩვენ შევძელით რონალდუ შეგვენარჩუნებინა. ეს ძალიან დაგვეხმარა, 2008 წელს ჩემპიონთა თასი მოგვეგო.

2012 წელს BBC-ზე დენი უოლკერის კითხვა-პასუხის შოუში მიმინვიეს, რომელშიც ჩემთან ერთად პიტერ შმაიხელი და სემ ელერდაისიც მონაწილეობდნენ. მაყურებელმა მკითხა:

– თქვენი აზრით, რომელი უფრო მაგარი ფეხბურთელია, რონალდუ თუ მესი?

– რონალდუს უკეთესი ფიზიკური მონაცემები აქვს, ვიდრე მესის. ის თავით უკეთ თამაშობს, ორივე ფეხს თანაბრად იყენებს და უფრო სწრაფია. მესი ბურთთან თითოეული შეხებისას რალაც ჯადოქრობებს სჩადის. ბუმბულივით არის. მისი გრავიტაცია კი უბრალოდ განსაცვიფრებელია.

შმაიხელი კი ფიქრობდა, რომ რონალდუს შეეძლო სუსტ გუნდში თამაში, რაც მესის შემთხვევაში შეუძლებელი გახლდათ. ვფიქრობ, ეს მართლაც ასეა. თუმცა მესი იქაც შეძლებდა ფეხის თითებით ბრწყინვალე მომენტები შეექმნა. პიტერს მიაჩნდა, რომ მესი ხავისა და ინიესტაზე იყო დამოკიდებული და პასებით სწორედ ისინი ამარაგებდნენ. ამ მხრივ რონალდუსთან მსგავსება არის, რადგან მასაც სჭირდება ვინმე, ვინც პასებით მოამარაგებს. ყოველ ჯერზე, როდესაც მეკითხებიან, მიჭირს ერთმნიშვნელოვანი პასუხი გავცე კითხვაზე: რომელი უფრო ძლიერია – მესი თუ რონალდუ, რადგან ან ერთის ან მეორის ქვედა დონეზე დაყენება უსამართლობა იქნება.

ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მე და რონალდუმ კონტაქტი მისი „რეალში“ წასვლის შემდეგაც შევინარჩუნეთ.

